საბჭოთა მითები მედიაში

ანა ხოშტარია

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის: „მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია“ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კინწურაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ანა ხოშტარია

22.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნამუშევრის მიზანი იყო, დაგვედგინა გვხვდება თუ არა თანამედროვე ქართულ მედიაში საბჭოთა მითები და რა გზავნილების გავრცელებას ისახავს მიზნად ძველი მითების დღევანდელობაში გაცოცხლება; რომელი მედიებით ხდება ასეთი შინაარსის მასალების გავრცელება და ისტორიის გაყალბების მეთოდის გამოყენება.

ნაშრომი განიხილავს პროპაგანდის მეთოდებს, მახასიათებლებსა და ისტორიას. გამოვლენილი მითები დაჯგუფებულია გზავნილების ტიპოლოგიისა და წყაროების მიხედვით.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მედია ავრცელებს დეზინფორმაციას და ისტორიას აყალბებს. ხშირ შემთხვევაში ისტორია გადმოცემულია ცალმხრივად, უზუსტობებითა და ტენდენციურობით.

საკვანძო სიტყვები: პროპაგანდა, საბჭოთა კავშირის მითები, ისტორიის გაყალბება.

The Abstract

The purpose of this master's research was to find out nowadays are we facing or not in modern Georgian media the myths of the Soviet Union and what kind of messages are they willing to spread up, with reviving of old myths. Which media organizations are used for spreading this kind of informational materials and for falsification of the history.

This study discusses the methods, characteristics and history of propaganda. The revealed myths are grouped and presented with two components: message types and information sources.

The survey revealed that the media is spreading misinformation and falsifies the history. Often history is translated unilaterally, inaccurately and under influence of trends.

Keywords: propaganda, myths of the Soviet Union, falsification of history.

მადლობა

მადლობით მინდა მივმართო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებს, რომელთაგანაც ბევრი რამ ვისწავლე, განსაკუთრებით ნაშრომში ასახული ეპოქის შესახებ.

მინდა მადლობით მივმართო მითების დეტექტორის კოლექტივს იმ საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციების გამო, რომელთა მოძიებისათვის უდიდესი შრომაა გაღებული და მუშაობის პროცესი დიდად გამიმარტივა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს იმ თავდაუზოგავი შრომისა და დახმარებისათვის, რომელმაც სასიამოვნო გახადა ჩემთვის წერის პროცესი, რომელმაც, უამრავი საქმის მიუხედავად, არ დაიშურა დრო, ენერგია და მოთმინება.